

# ნიან

ავს თუ ავი არ გუწოდო, კარგს სახელად რა დავაქრეთ?

სბტირისბ და იუმორის  
ჟურნალი

136  
1996

№1-2, 3.

არ ბაღორაგბულიყავი, დაკვლას ბადარჩებოდი!

28-10



თემა პ. მახვილძისა

ნ. გ. ლოლუასი

# სახალწლო ყვირს!

ახალი წელი!

- შენ გაგისმა ტერორისტის მარჯვენა.
- შენ არ ეღირსე უჭკუო და ენაჭარტალა პარლამენტს.
- შენ დაგეწვა გამომძაღველის ჯიბე.
- შენ გაგიქვავდა გული ბოროტმოქმედის მიმართ.
- შენ ამოგიწვდა არძინებები და ღუდაევეები.
- შენ არ დაგანახვა თვალთ მშიერი და მათხოვარი ადამიანი.
- შენ დაგიმუნჯდა ყველა ავფია და ავისმსურველი.
- შენ ამოგძვრა ბოროტი ადამიანების სული.
- შენ აგიოხრდა ყაჩაღის ნაშოვნი ქონება.
- შენ დაგიმიწდა ყველა ორგული და სეპარატისტი.
- შენ გაგისკდა ყველას კუჭი, ვინც ლტოლვილებს ჰუმანიტარულ ლუკმას ართმევს.
- შენ დაგევისოს ყველა ავადმზირალის თვალი.
- შენ დაგიბნელდა მაფიოზის მზე!

გიბა მახვილაკე



ნახ. მ. აბაშიძისა

## ნიანგურები

ელჟარდ შეჰარდნაქას

მოქალაქეთა კავშირს

გადაურჩი ეშმას ნაღმებს,  
აიტანე პრესის დენთი,  
სახალწლოდ მოგვეახლე  
ახალ ქვეყნის პრეზიდენტი.  
ვიცი, ფასს სდებ ქართულ სიტყვას,  
მწედ უღებარ ჯვებებს ჟურნალს,  
ბრეგის მეთოდს, უნდა ითქვას,  
იყვნებ და შენს ერს კურნავ,  
დაე, ყველას ღირსი ერგოს  
სიაყვარების საწყაული.  
ჩვენ კი გვიხსნის საქენერგო  
და შიმშილის სასწაული.

ზოგი კავშირი ძველ დროს მაგონებს,  
ვფიქრობ, თქვენი ძველს არ ჰგავს,  
ის, ვინც მიელტვის ფულს და  
„მაგონებს“  
ბოლოს იმ ძველსაც ჰკარგავს.  
ახალი წლისთვის, ახლა წინა ხართ,  
ხალხი თქვენს გვერდით ივლის,  
მხოლოდ სახელს თუ შემოინახავთ  
გენერალური მდივნის.

ელა-ს

თუცა ქალია, ლიდერად  
მამაკაცთ დანაბადია,

მიჰყევით, ისიც მოგვევებით —  
ესეც ენ-ღონი ჰარტია  
ჩამოიტოვეთ ბლოკი და  
ყველანაირი ქარტია,  
დასხედით ოპოზიციად,  
თუ პოზიცია ნაღდია.

„აღორძინებას“

დათვლილ ხმების ოდენობით  
საქართველო გააოცე.  
ოღონდ გურჯი იყავი და  
სადაც გინდა იქ ილოცე!  
თქვენთან ერთად ზღვა სიხარულს,  
სხვა ახალწლებს შემახვედროს,  
მაინც ველი ბათუმ-ქალაქს  
ტაძარს ახალს, საკათედროს!

თქვენი ნიანგები

# სსრკ



კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა არაკაცის უღმობელმა ტყვიამ, კიდევ ერთი სილამაზე დააკლდა დედაქალაქს, კიდევ ერთი ოჯახი შეიმოსა ძაძით!..

ახლა შენ ოცდათორმეტი წლის იქნებოდი, თუ არა ოქტომბრის ის ერთი საბედისწერო საღამო, როცა ნიდაბჩამოცმული, შენი განუყრელი ავტომატური იარაღით ხელში, თავზე დაადექი ქ. თბილისში, ნაღვარევის ქუჩაზე მცხოვრებ ვინმე გ. ძ-ს. კარი ოჯახის უფროსმა გაგვიღო, დიდხანს არ დაგოვონებია, მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადე მასპინძელს სტუმრობის მიზეზი: მისგან გარკვეული რაოდენობის თანხას და სხვადასხვა სახეობის ძვირფასეულობას მოითხოვდი! მიუხედავად თხოვნის არაერთგზის გამეორებისა, პასუხი ყოველთვის არადამაკმაყოფილებელი მიიღე!.. ყველანაირად ცდილობდი, კონფლიქტი აგეცილებინა, მაგრამ მასპინძელი ყოველ ღონეს ხმარობდა. იგი, თქვენს შორის, გარდაუვალი ყოფილიყო!..

რაკი დარწმუნდი, დამხვდურთან საუბარი ადამიანურ ენაზე შეუძლებელი იყო, მაშინ ცოლ-ქმარს ადგილზე უყავი ლიკვიდაცია და თავად შეუდექი შენი მომავლისთვის ეგზომ საჭირო თანხისა თუ ძვირფასეულობის მოჩხრეკა-მოძიებას. შედეგმაც არ დააყოვნა: ორსართულიანი სახლის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულიდან თუ უჯრებიდან რა და რა არ გამოჰყვა მსგავს შემთხვევაში არაერთგზის გაწაფულ შენს თითებს!..

და აი, ამ დროს მოხდა საშინელება: თურმე შენი სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენოდა მეზობლისას ნარდის სათამაშოდ გადასულ როს შვილს, რ. გ-ს. შენ ვაჟკაცურად დაუხვდით ერთმანეთს, მაგრამ ორთაბრძოლაში უმისამართოდ გავარდნილმა შენივე ავტომატის ტყვიამ უდროოდ დაუსვა წერტილი შენს ლამაზ სიცოცხლეს!..

„ჩვენი ნემსა!“ ასე გემხდით შინაურები ყველასათვის საყვარელ ადამიანს, კანონიერ ქურდს, აფთარ ყაჩაღ აშვილს!.. ჯერ კიდევ პირტიტველა იყავი, პირველად რომ მორცხვად ჩაუყავი ხელი ჯიბეში მგზავრს ტრამვაში!.. მას მერე არასოდეს გიღალატნია ერთხელ არჩეული გზისათვის!..

შენ არაერთხელ მოიხადე ვალი მართლმსაჯულების წინაშე, ჩვენი ქვეყნის თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა ადგილებში, საიდანაც დიდი სითბო და სიყვარული გამოგოლია მუდამ!..

როგორ გიყვარდა სიცოცხლე!.. არაფერს იშურებდი საკუთარი ბედნიერებისათვის!.. როგორ გვეფერებოდი ყველას!..


დღეს შენი დაბადების დღეა, დღეს შენს საფლავთან მოვალთ ყვავილებით, რათა ერთხელ კიდევ გავიმკვდინოთ ის სითბო და სიყვარული, რითაც ესოდენ გვანებივრებდი ყველას!..

შენი გზა ნათელია! შენს მამულიშვილურ საქმეს შენი აღზრდილები გააგრძელებენ, მათთვის დღეს საამისოდ ყოველგვარი პირობაა შექმნილი!..

გჯეროდეს, ყველა თავისას მოიძიებს!.. შენ კი, იქ, სამუდამო სასუფეველში, ნათელი გავინათებს გზას, მუდამ საკუთარ კეთილდღეობასა და ნათელ მომავალზე მზრუნველო, ჩვენო ლამაზო, საყვარელო ვაჟკაცო!

ამხანაგების სახელით  
ნოვალი ბართაია

20760



ნახ. მ. მჭედლიშვილისა



# ჯანმრთელობა




- ჰმ...  
 - რა „ჰმ“?  
 - წვრილის ოპერაციას უწურო  
 რთულია და ძვირადღირებულია  
 - ეეჰ!  
 - რა „ეეჰ“?  
 - ის „ეეჰ“, რომ ცხოვრება აღარ  
 ღირს.

- ჯანმრთელობაშერყეულ ადამი-  
 ანებს აქ იღებთ?  
 - დიახ, ჭკუაშერყეულების გარდა.  
 - გმადლობთ, ჯერჯერობით სრულ  
 ჭკუაზე ვარ.  
 - მოსალოცი ამბავია!  
 - თქვენთან მინდა დავწვე.  
 - ჩემთან?!  
 - საავადმყოფოში.  
 - ბარემ ნაახალწლევს დაწოლილ-  
 იყავი.  
 - მე კი, მაგრამ ორგანოები მოუთ-  
 მენლად მტკივა!  
 - რამდენი გაქვს ხელფასი?  
 - ექვსი ლარი.  
 - კიდევ რა გაწუხებს?  
 - ხუთი ავადმყოფობა მჭირს ერთ-  
 ად.  
 - ჩამოთვალე.  
 - ჯერ ერთი. ბრმანაწლავი მაქვს  
 ამოსატრელი.  
 - კომუნისტების დროს რატომ არ  
 ამოიჭერი?

- მაშინ არ მაწუხებდა.  
 - ახლა შეგაწუხებს, თუ შეგაწუ-  
 ხებს, ის შენი ექვსი ლარი გასაკერ-  
 ძაფს არ ეყოფა.  
 - ნუ გამკერავთ... ოღონდ გამჭერ-  
 ით!  
 - სხვა რა უჭირს?  
 - კუჭის წყლული მაქვს.  
 - აუჰ!  
 - რა „აუჰ“?  
 - ის „აუჰ“, რომ კუჭის წყლულის  
 ოპერაცია სამჯერ უფრო ძვირი ჯდე-  
 ბა ბრმანაწლავისაზე.  
 - თქვენც ნუ გამჭრით.  
 - კიდევ?  
 - თირკმელები.  
 - მდაა...  
 - რა „მდაა“?  
 - ის მდაა, რომ ძალიან მსხვილ-  
 მსხვილი ავადმყოფობები დაგიტრე-  
 ვია, ცოტა დაუწვრილე.  
 - წვრილი ნაწლავის ანთებაც  
 მაქვს.

- ვაუჰაცსა გული რკინისაო, არ  
 გაგოგონია?  
 - ჰოდა, სწორედ ის გული მტკივა,  
 ექიმო, ერთ დროს რკინისა რომ  
 მტონდა.  
 - ნუ გეშინია, ერთ-ორ, ჰა, ჰა,  
 ხუთ წელიწადში ნავთის ტრუბას გა-  
 ვიყვანთ, თხუთმეტ-ოც, ჰა, ჰა, ოცდა-  
 ხუთ წელიწადში საქართველო აყვავ-  
 დება და გულიც გაგიკაჟდება!  
 - რა გამახარე, ჯერ მხოლოდ სა-  
 მოცისა ჯარ!  
 - თუ მოკვდები, დამოუკიდებელ  
 საქართველოში მოკვდები. უბედურ-  
 ება ის იქნებოდა, კომუნისტების რე-  
 ჟიმის დროს რომ მომკვდარიყავი.  
 - მშვიდობით. ძალიან დაიმედებ-  
 ული მივდივარ.  
 - მოიცა! მიდიხარ კარგია, აქ კე-  
 რძო კლინიკაა, შემოგვევლე... მანანა,  
 გამოუწერე ამ ოქროკაცს ხუთი ლა-  
 რის ქვითარი... ვიცი ცოტაა, მაგრამ  
 ექვსის მეტი არ ჰქონია ხელფასი და  
 ერთი დავუტოვოთ, თავი ხომ უნდა  
 ირჩინოს!

გიორგი მარტიავილი




ნახ. ბ. ზუბაშვილისა




აგერ მობრძანდა ახალი წელი და თხოვნა მოგვიტანა, თუ ძმა ხართ, ჩემო ბაბუებო, კუმანური დახმარების სიაში არ გამომტოვოთ!

ნახ. და თემა მ. აბაშიძისა



ზ.ზ.



ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ეს შენ მუგლია ხომ არ გგონია? პროცესობი კალონიოქსე დადილ ლოქსიემქ მ შიურ-რიოქველი

ნახ. მ. აბაშიძისა



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

# «იქვე ჯუშუბერს მისი»

თბილისქალაქში რა გამოლევს განსაკუთრებული ნიჭისა და ხასიათის ხალხს. ისინი მეტწილად თავისებურად, უთავბოლოდ ცხოვრობენ და ხშირად ასევე იკარგებიან. ზოგიერთის ნათქვამი და ნამოქმედარი ცოტა ხანს შემორჩება ხალხში და მერე ისიც პატრონს მიჰყვება.

ერთი ასეთი კაცთაგანი იყო ჯუშუბერ ძიძავა.

ბედნიერება მქონდა სტუდენტობა და ახალგაზრდობა მასთან გამეტარებინა. როცა გავიცანი, ის უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო და უცხო ენებშიც სწავლობდა.

საწყენია, რომ მისი მოსწრებული ნათქვამები დღემდე არავის შეუკრებია და გამოუქვეყნებია.

ცოდვია ყველაფერი ამის დაკარგვა. მე თავს ვაღიქვამდი უფრო ვიღაცად ვადმოგცემო მისი რამდენიმე ქარაგმული ნაკვესი.

## კიბოთა ალიაზვილი

### ლენინის სიტყვა

სტიპენდიები ავიღეთ. ჯუშუბერს ვთხოვეთ რესტორანში წამოსულიყო. როცა ჩვენს ფინანსებში გაერკვა, გვითხრა: თუ დამიჯერებთ, წამომყვებით, მია გიორგისთან ჩავიდეთ, იაფიც დაგვიჯდება და რესტორანის ყურისწამდეები გნიასიც არ იქნებაო.

შევვადით ბაზარში. ვიყიდე მწვანილი, კიტრი, პომიდორი, მწნილეული, სულგუნი და ცხვრის ყველი, კახური შოთები. მერე გასტრონომში შევედი. მაშინ მრავალნაირი ძეხვი და ლორი იყიდებოდა. იქვე ძველი გაზეთები შევიძინეთ და კოლმეურნეობის მოედანზე ღვინის წერტში ჩავედით.

— ჯუშუბერს ვენაცვალე, აი, იმ კასრთან დაჯექით. — შემოგვეგება მაპინძელი, მია გიორგი.

კასრის თავზე მშვენიერი „ნატურმორტი“ გაეწყო.

კახური ხელადა ჩაიდგა, ფილები შემოლაგდა. ჩვენც ირგვლივ შემოვუსხედით, პატარა კასრებსა და ყუთებზე ჯუშუბერს, როგორც უფროსს, კასრზე გაზეთი დავეუკეთ.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა, ლექსი ლექსს.

მოულოდნელად ჯუშუბერი გაჩუმდა და წამოღება ყველა მას მივანერდით. მან კასრიდან სველი გაზეთი აიღო. გაზეთის მთელ გვერდზე ლენინის სურათი იყო დაბეჭდილი. ჯუშუბერმა დახედა, ოდნავ შეეყოვნდა და თავისებურ მეგრულ კილოზე სერიოზულად მიმართა სურათს:

— მილიონთა გულებს ათბობ, ჩემი ერთი ტ.კის გათბობა გაგიჭირდა?! და გაზეთი მოისროლა.

იმ დღეს მია გიორგის ჩვენთვის ღვინის ფული არ გამოურთმევია.

### თითუბი

ჯუშუბერი ჩემთან ახალი დაშინაურებული იყო. მაშინ სუფრაზე ჯერ კიდევ ღვინის ჭიქები მოჭქონდათ ოჯახში. ნათალი ჭიქები რუსული სასადილოს გაყვლით შემოდიოდა. მერე კი „მოდად“ იქცა.

დედაჩემმა სუფრა გაშალა. ჩვენ მაგიდას შემოვუსხედით, დედა სამზარეულოდან რომ შემობრუნდა. ჯუშუბერს თავისი ჭიქა პურის ნაჭურთან ერთად ეჭირა ერთ ხელში.

— ჯუშუბერ, შვილო, რა არის ღვინის ჭიქა და პურის ნაჭური ერთად რომ გიჭირავს?! — ჰკითხა დედაჩემმა.

— დიდ ჭიქაზე ვარ მიჩვეული, დედა ნინა, თითები არ მეღუნება, მეშინია არ გამივარდეს ხელიდან!

დედამ ჭიქები შეგვიცვალა.

### შალვა დადიანის მღვპარი

შალვა დადიანი ჯუშუბერის ნათესავი იყო. 37 წელს გაპარტახებული ოჯახიდან ჯუშუბერი პირდაპირ ქუჩაში აღმოჩნდა. მერე ციხეშიც მოხვდა.

ბავშვთა ერთ კოლონიაში, სადაც ჯუშუბერიც იყო, სახელოვან მწერალს შესხედრა მოუწყვეს. ჯუშუბერმა იმ საღამოზე ლექსი წაიკითხა.

გავიდა ხანი. ჯუშუბერმა რაღაც დააშავა თავის ბანაკში და უფრო მკაცრი „რეჟიმის“ ბანაკში გადაიყვანეს, სადაც ამჯერადაც მოუწყვეს შესხედრა შალვა დადიანს.


ჯუშუბერს უნდოდა რომ სახელოვან ნათესავს შეემჩნია და იქნებ რამე ეშველა. გამოვიდა შესხედრაზე და ისევ ის ლექსი წაიკითხა.

— ეს ყმაწვილი რავა მე დამდევს! — დაიჩვილა შეშინებულმა ბატონმა შალვამ.

ადვილი შესაძლებელი იყო, მწერალს უსიამოვნება შესხედროდა პატიმარი ნათესავის გამო.

### კიბოში

ჯუშუბერს სათეატრო ინსტიტუტის დამთავრებამდე საკმაოდ რთული გზა ჰქონდა გავლილი. 37 წელს რეპრესირებული ოჯახის შვილს გზაკვალი აერია. ციხეშიც მოხვდა. მოკლედ, საკმაოდ „გამოსულ“ ბიჭად ითვლებოდა. მერე ჩაღბა კალაპოტში. სწავლა დაიწყო სათეატრო ინსტიტუტში, დაამთავრა და რუსთაველის თეატრის მსახიობიც გახდა.



ნან. ბ. შუბაშვილის

ჯუმბერს ერთი კაი ოჯახიშვილი გოგონა მოსწონდა. ალბათ, ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, თუ არა ერთი საბედისწერო შემთხვევა. ჯუმბერმა ქალის მშობლებს სთხოვა მასთან ერთად კინოში წასვლის ნება მიეცათ შვილისთვის. მშობლები დათანხმდნენ.

ჯუმბერი ზედმეტად ზრდილობიანად აჩვენებდა თავს, სულ შაქრად იღვრებოდა საპატარძლოს ოჯახსა და ნათესაებში. ერიდებოდა ჟარგონი არ დასცდენოდა, მისი წარსული არ გაეგოთ. საქმე კარგად მიდიოდა, შეუღლებას აღარაფერი აკლდა.

შევიდნენ კინოღარბაზში. მათ ადგილზე ვიღაც მოძველებიჭო ახალგაზრდები ისხდნენ. ჯუმბერმა თავზიანად სთხოვა ჩვენი ადგილებია და დაგვითმეთო.

— რომ არ დაგვითმეთ, რას იზამ?! — იყო თავხედური პასუხი.

— რას ვიზამ და დედას... — ლაზათიანად მიაგინა ჯუმბერმა. ის თავხედები კი აყარა კინწისკვრით, მაგრამ რომ მოიხედა, გულის ვარდის ჩრდილიც გამქრალიყო.

ეგ იყო და ეგ.

— ჯუმბერი განსაკუთრებით ხშირად ენაკვიმატობდა ელიშერ გიორგაძეზე, რადგან ისიც სულ კრიჭაში ედგა. ერთხელ ჯუმბერი დამწუხრებული სახით შემოვიდა ვერის ბაღში.

— რა დაგემართა?! ვკითხეთ მეგობრებმა.

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ! ამოდერდა ჯუმბერმა.

— რა მოხდა!? აღარ იტყვი,კაცო?!

— ელიშერი დაუჭერიათ! — გამოგვიცხადა ხუმრობა-გაშვებით.

— რაზე, როდის?! — ჩავეკითხეთ.

— ბრაკონიერობაზე. — იმავე კილოთი მოგვიგო ჯუმბერმა.


— ელიშერი, ბრაკონიერობაზე?! — გავვოცდით.

— „ნასკები“ დაურეცხია მტკვარში და მთელი თევზები დაუწამლავს ბაქომდე.



— საწყალი გასტრონომში ცხოვრობდა და შიმშილით მოკვდა!

თემა ნ. ბართაიასი  
ნახ. შ. აბაშიძისა



**კეროსტრატე – 93**

ქვეყნის უფროსს საჯაროდ თუ  
გალანძლავ სამხელ,  
მაშინ აუცილებლად მოიპოვებ  
სახელს!

წარსულს თუ გაუხსენებ –  
რალაც-რალაც სამხილს –  
კი! კი! აუცილებლად  
მოიპოვებ სახელს!

თუ ავინებ ერისთვის პირჯვრის  
გადამსახველ  
უწმინდეს კაცს, – უთუოდ მოიპოვებ  
სახელს!

თუ გასწირავ გუმისთას, რიწას,  
გაგრას, საკენს.. –  
კი! კი! აუცილებლად მოიპოვებ  
სახელს!

თუ ამოწვევებ ხილიანს, ააფეთქებ  
„ზაქესს“, –  
„პოლიტ-პატი“ გახდები – მოიპოვებ  
სახელს!

ბაღლი ახალშობილი – თვალს რომ  
ახლა ახელს –  
ბაღლიც არ ჭამს ამ გზებით  
მოპოვებულ სახელს!


ტიან-ტიან

**საკამატები**

საკამატობს კარგა ხანია  
ცხვირაწეული, ბრექია,  
სიტყვის თქმით ამირანია,  
საქმის ქმნით – ნაცარქექია.  
საკამით მსახვრელი ხელი აქვს,  
საკამის აბია თავი,  
ცხვარ-საკამთან ცხვარი-მგელია,  
მგელ-საკამთან – საკამი კრაფი.

\* \* \*

ჟამია კრულზე კრული,  
გულს შხამის ჟამი მიწვავს,  
ზეცას აემღვრა სული,  
სული აემღვრა მიწას.  
არის სასტიკი ჟამი,  
ერთობ გულშავი, თალხი...



როცა საკამს ებრძვის საკამი,  
მუდამ მარცხდება ხალხი.

\* \* \*

საკამის ჩრდილი მზეს ფარავს  
და სდევს სული ღამის,  
გვთხოვს ეშმაკი ბეგარას,  
დგება ავი ჟამი,  
როცა ანგრევს ქვეყანას  
სიყვარული საკამის.

არ ვარგა ოთხმოცი  
გრადუსით გადასრა,  
ცოცხალი ცხოვრება  
არ უნდა გადასრა,  
არ უნდა იფიქრო:  
„მე ვარ და ნაბადი,  
ყველაზე ძლიერი  
ქვეყნად დანაბადი!“

**გალაკტიონი**

\* \* \*

შენ მუდამ ღმერთის ტოლი ხარ  
ჩემთვის,  
მაგრამ ერთ რჩევას დღეს მაინც  
გაკადრებ:  
კაცი კაცური იყავ ისეთი,  
დიდი საკამი რომ არ გეპყრა ადრე.

\* \* \*

თუ მთავრობაში ამირჩევთ,  
მოგასწრებთ ერის დიდებს!  
დღედაღამ თქვენზე ვიზრუნებ!  
– ხალხს ზოგი ასე ჰპირდება.  
მაგრამ საკამს ხელთ რომ მოიგდებს,  
დაპირებები ხუნდება:  
ხალხისთვის უკვე ვერ იცლის,  
კოსტუმების ცვლას უნდება.  
მრავალს გაუნდა უნარი  
ზღუდეთა გადამლასავი,  
ბევრს ეროდ ექცა ხელები,  
ტრიალებს შავი ლახვარი.  
გამრავლდნენ მომხვეჭელები  
სახელისა და სახრავის.

\* \* \*

კურდღელივით უკან გარბის,  
თუ აჩვენებს ბრძოლის ველი.  
უყვარს ხშირად გლეჯვა ნარის  
მხოლოდ, მხოლოდ სხვისი ხელით.  
ხდება: კაცი საკამს რომ უდრის..  
და სადღება ფარჩად ხამი.  
პიროვნების მოვსპეთ კულტი  
და კვლავ მეფობს კულტი საკამის.



ეს ყველამ უნდა იცოდეს  
თავდაკვირვებით, გონებით:  
თუ გინდა დიდხანს სიცოცხლე,  
სკამს ნურვინ დაემოწები!

**შავ-თეთრი კრიალოსანი**

ცას ვერ იტანს მზის თვალებას,  
უყვარს მხოლოდ ფერი გიშრის,  
ღრუბლებში მზეც იმალება  
იმ გულშაფვი კაცის შიშით.

არ გიყვარს არავინ,  
ხარ ცხოვრების ხის მხოლოდ ფითრი.  
ჯერ არ ვარ მკვდარი,  
შენ კი უკვე სამარეს მითხრი.

მადლს ღმერთი ჩუმად წონის,  
მუდამ მზირალი მადლით.  
მე შენს მევირაღა საქმეს  
მადლით ვაჭრობას ვადრი.  
არა მჭირდება შენი  
დამადლებული მადლი!

როცა იმარჯვებს პროვოკაცია,  
ეშმაკს წმინდანის კვართი აცვია.  
სული თუ თვალები ბილწის  
სირცხვილით არასდროს იწვის.



დაობთ. ჭკუა კი არც ერთს გაქვთ  
გრამი,  
დღეს ორივე ხართ ჩიტის ფიტული.  
შენ ხარ ბითური გარდასულ ქამის,  
ის კი — ახალი დროის ბითური.

ხშირად ირევა სავარსკვლავეთი  
და ეს აოცებს დიდებს, პატარებს.  
ყველა დრო-ქამს ჰყავს თავის  
ჰამლეტი,  
ჰყავს ღონ კიხოტი და ჰყავს  
ყვარყვარე.

ღმერთია მადლის მთესველი,  
მინდვრად მზით ხარობს ყვაილი.  
სულით დარიბ კაცს ვერ შველის  
სიძლიდრე ვერანაირი.

ზოგჯერ ჟამია სიბრძნის,  
ზოგჯერ ჟამია ბოდვის,  
ხალხი მოდის და მიდის  
ახალ-ახალი მოდის.

ვის მიწა უყვარს, ვის ცა,  
ვის ქრისტე და ვის ბუდა,  
ჩვენი ეპოქა იქცა  
ტელევიზორის ყუთად.

ფრინველთა ხელმწიფეა არწივი,  
ნადირთა მეფეა ლომი.  
ანგელოზს ეომება მაცილი...  
ცაშიც და მიწაზეც არ წყდება ომი.

აკაკი გეჭაპე



**თანამედროვე ზოგადი**

ასე იქნება, სანამ გვაქვს  
პირი, კუჭი და მუცელი...  
მთაერობა ხშირად იცვლება:  
ცხოვრება რჩება უცვლელი.

სანდო კაცის სახელს ვლანძღავთ  
და ვლახავთ,  
და ვენდობით ხშირად ყოვლად  
უნდობელს,  
ნეტავ ჩვენში ერთი კაცი მანახა,  
მეფობა არ უნდოდეს!

შინაურმა მტრებმა უფრო გაგვთელეს,  
სულ დავკარგეთ ერთად ღვთის ნიჭი.  
აღრე შაპი თავს თუ სჭრიდა  
ქართველებს,  
დღეს ჩვენს თავებს თვითონ ჩვენვე  
ვიჭრით.

არც სპარსი და არც ოსმალ  
(მწამლავს დარდის ნალველი!)  
გზაში დამხვდა ხელში დანით  
ჩემი მოძმე ქართველი!

ვანო ცინცაძე

**უცნო სკონსორს**

იმის რა ვთქვი, ეს ცხოვრება  
ამნაირი ვისაც მოსწონს  
ფული რომ არ გეშოვნება  
და ნიადაგ ეძებ სკონსორს.

წიგნი ვედარ გამოვეცი,  
სიღარიბის შევრჩი სოროს.



აქეთ ვეცი, იქით ვეცი —  
ვერას გავხდი უსპონსოროდ.

ვინმემ უნდა მიპატრონოს,  
სხვა საშველი არ მაქვს სწორედ.  
ფულიანო ბიზნესმენო,  
თუ კაცი ხარ, მისპონსორე!

ნუგზარ ავსაჯაბა

**კოჩლი მუსამბაზი**

შენგან შველას ითხოვს შენი  
წალკოტი,  
შენ კი თვალი სხვის სრიოკზე  
მიგიდის.  
გულბოროტად შესცქერს ზემდგომს  
ქვემდგომი,  
არ ადარდებს უფროსს ბედი რიგითის.  
დიდი ხნის წინ რომ დაკარგა

ნამუსი,  
დღეს სხვის ნაკლზე ლაპარაკობს  
რიხით ის.

ძმები მტრებად მოეკიდნენ  
ერთმანეთს,  
მუშტებმ აქნევს აქეთ ეს და იქით ის.  
გინდ მუქთადაც გაიტანე ბაზარზე,  
ნამუსს მაინც,


მაინც არვინ იყიდის.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

20760

საქართველო

# კასი. როგორ ბედნიერად ეკიდა



(ყველაზე მოკლე დეტექტიური  
მოთხრობა მსოფლიოში)

საიდუმლოს ამოხსნის ყველა იმე-  
დი გადაიწურა.

მკვლელობა სახეზე იყო, მაგრამ  
არავითარი საშხილი არ ჩანდა.

სხვა გზა არ ჰქონდათ, უხმეს ყვე-  
ლაზე ცნობილ დეტექტივს.

მისი გამჭოლი მხერვა ერთი წამით  
შეჩერდა უსულო გეგმზე. წამიც და  
— დეტექტივის ხელში მიკროსკოპმა  
გაიბრჭყვიალა.

— ხა-ხა! — შესძახა დიდმა დეტექ-  
ტივმა, როცა მოკლულის პიჯაკზე  
თმის ბეწვს ჰკიდა თვალი, — დანაშა-  
ული გახსნილია!

მან სინათლეზე გახედა ბეწვს.

— ახლა სულ ცოტა რამ დავგვრჩა:  
ვიპოვოთ ის, ვისაც ეს ბეწვი ეკუთვ-  
ნის და დამნაშავეც ჩვენს ხელთ იქნ-  
ება.

ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვი ერ-  
თბაშად შეიკრა.

დეტექტივი ძიებას შეუდგა.

ოთხი დღე და ოთხი ღამე ზედიზ-  
ელ, გარეშე თვალისათვის ფარულად  
იგი დაჰქროდა ნიუ-იორკის ქუჩებში  
და დაჟინებით აკვირდებოდა შემხვე-  
დრთა სახეებს — ეძებდა ადამიანს,  
რომელსაც ჩამოვარდა ბეწვი.

მეხუთე დღეს იგი აღმოჩინა. იგი-  
თომდაც ჩამოსული ტურისტის ვარსკ-  
თითქმის ყურებად ჩამოფხატული  
ქულით, იგი იდგა ნავმყნადგომზე და  
გემ „გლორიტანიაზე“ მსგავსი ქმნი-  
ებოდა.

დეტექტივი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! —  
განუცხადა მან, თან მთელი ტანით  
აღიმართა და მამხილებელი ბეწვი  
პაერში შეათამაშა. ეს ბეწვი, — წარ-  
მოთქვა დიდმა დეტექტივმა, — ამტ-  
კიცებს თქვენს დანაშაულს.

— მოხადეთ ქული! — შეუვალი  
ხმით ბრძანა გემის კაპიტანმა.

ქული მოხადეს.

შეპყრობილი სრული მელოტი  
იყო.

— ჰმ! — ოდნავაც არ შემცბარა,  
ისე შესძახა დიდმა დეტექტივმა, —  
დამნაშავეს ჩადენილი აქვს არა მხო-  
ლოდ ეს, არამედ მილიონი სხვა  
მკვლელობაც!

თარგმნა ინგლისურიდან  
ბივი კობაიკე



აქაც ყანალები ხართ, ხალხო?

თემა ჟ. სიხარულიძისა, ნახ. მ. აბაშიძისა



### მურმანისეპური

“რად პირს არ გახსნი,  
დედაპიფავ, თან არ ჩაპიტან,  
ათას თახსნირთან  
რომ პურს მაჭამებ ერთი  
ჯამიდან...”

რას მამოძრავებ  
ერთი ქუჩით, ერთი მეტროთი?  
რა სიმწარეა: მაგათსავით

მეც ქალს ვეტყვოდი.  
მეც მაგათსავით ზემელსა  
და ვთელავდი ვერას,  
დომოტდინებში თვალს ვუკრავდი  
ზინას და ვერას,  
ვხედავდი სიზმრებს,  
ზოგ-ზოგივით, მეც ფერად-ფერადს.  
ვიმოსდი ტანზე იგივე ფაბრიკს  
შეკერილ პერანგს.  
შენ გკითხავ, მურმან,  
ნუთუ „მოყნა“, რომ არ გვეწყინოს:  
მეც მათთან ერთად  
ვსვამდი კახთა დაწურულ ღვინოს,  
კი, მათთან ერთად  
ვეწინოსდი ვარდს და ვუსმენდი  
ბულბულს,

ვკაცავდი გზებს და  
ვშლიდი კარტს და ვყლაპდი-ყ  
სულგუნს.  
ბოლოს ყველასთვის,  
თახსირისთვის და წმინდანისთვის,  
დგება მომენტი  
დაბინდვისა, თვალთა! დანისვლის.  
მეც, სხვათა შორის,  
სხვა რა მიმაქვს, გარდა ვალების,  
ჩაბუჭებუვლებით  
ოთხ ფიცარში გარდუვალობით...  
ნუ, ნუ დაუგლებთ  
ყურს ანზორას, რეზოს და გურამს,  
ტყეფლია, ვითამც  
ყველას ერთი ბოზოზი გვხურამს.

ლერი ჩანტლაქი

### ყველაფერი ნათელია?

ორმოციან წლებში ჩინეთის ამბები მსოფლიოს  
ყურადღების ცენტრში იყო. კონტრრევოლუციონერი გე-  
ნერალისიმუსი ჩან კაი ში მათ ძე ღუნის ახალგაზრდულ  
არმიებს უტევდა და პირველ ხანებში ართცუ წარუმატებ-  
ლად. მისმა ჯარებმა ჩინეთის უდიდესი ქალაქი შანხაიც  
აიღეს!..

ერთი სოფლის უბანში სააგიტაციო საუბარი ტარდებ-  
და. აგიტატორმა, სხვათა შორის, მსმენლებს ესეც ამცნო,  
რომ ჩან კაი ში შევიდა შანხაიში.

საუბრის დასასრულს, როგორც წესი, აგიტატორი  
ეკითხება თავის მრევლს:

— ხომ ყველაფერი გასაკებია?

ერთი წამოდგა და მიმართა აგიტატორს:

— ამხანაგო პიროსი, ყველაფერი ნათელია. მაგრამ,  
თუ შეიძლება, გვეითხარით: ჩან კაი ში შევიდა შანხაიში  
თუ პირიქით — შანხაიში შევიდა ჩან კაი ში. რომელია  
ქალაქი და რომელი პიროვნება?!

აგიტატორმა შეკითხვა უბის წიგნაკში ჩაინიშნა და  
მსმენლებს აღუთქვა, რომ მომავალი საუბრისას პასუხს  
გასცემდა დასმულ შეკითხვაზე.

### ნუ გაამატყუნებთ!

არ მიხედა მტკივან ფეხს ამირანმა. განგრენა და-  
ემართა და შიგ კოჭში მოაჭრეს ცალი კიდური.

ბუზღუნს უმატა ოჯახის მამამ, უბრალო რამეზეც კი  
ყვირილს ტეხდა ხოლმე.


— რა მოგივიდა, შე კაცო, სახლში აღარ დაგვედგომე-  
ბა შენი ნერვების გადამკიდეს! — უსაყვედურა ცოლმა.

— ბოშო, გასაავებლად ძაღლს ყურებს აჭრიან და  
ფეხმოჭრილ კაცს ვინ გამამტყუნებს?! — იმართლა თავი  
ამირანმა.

### იურისტის იურისტია

სპირიდონი ხშირად უკებდა ნარდს თავის დის-  
წულს, ამირანს.

ერთხელაც, ნარდს რომ მიუსხდნენ, დათქვეს — წაგე-



ბული ოთხ ბოთლ ღვინოს იყიდდა, მოგებული კი მცირე  
საუზმეს გააწყობდა.

სანამ თამაშს დაიწყებდნენ, სპირიდონმა მოურიდებ-  
ლად უთხრა დისწულს:

— შენ ისეთი ცუხი ხარ, შეიძლება წააგო და ნიძლევი  
შეიხვილიფო, ამიტომ წინასწარ ხელწერილი დავდოთ!  
ამირანი დაყაბულდა. დისწულმა ამჯერადაც წააგო.

— რა გაეწყობა, მომეცი ხელჩანთა და წავალ ღვინის  
საყიდლად!

ამირანი წავიდა. ღვინის წერტი ახლოს იყო და სპირ-  
იდონი ხემსის თადარიგს შეუდგა. გავიდა ერთი საათი,  
ორი, ამირანი კი არსად ჩანდა. მიაკითხა სპირიდონმა  
ღვინის გამყიდველს: ამნაირი და ამნაირი კაცი თუ იყო  
შენთან და ღვინო თუ იყიდაო?

— კი, ბატონო, მაგნაირი კაცი ნამდვილად იყო ჩემთან,  
ოთხი ბოთლი ღვინო იყიდა და წავიდა.

სპირიდონი გამობრუნდა და შინ დაურეკა ამირანს.

— რა ქენი, სად არის ღვინო?!

— ღვინო ნამდვილად ვიყიდე და აგერ ვსვამთ მე და  
ჩემი მეზობელი!

— მერე ხელწერილის პირობა?!

— ხელწერილით კი უნდა მეყიდა ოთხი ბოთლი ღვი-  
ნო, მაგრამ სად დავლევი და ვისთან, ეს შიგ არ წერებ-  
ულა! — იმართლა თავი იურისტმა დისწულმა.

ვაჟა სოსიანი

(ამბროლაური)

# საქონი-შანი

ბაზრებში გაიხსნა სინდის-ნამუსის საძრეცხაოები დირექციისა და გადასყიდველებისათვის.

## მერია

ვეიდი სარეცელს.

## პროკრუსტა

ვიძლევი ისტორიაში შესვლის გაკვეთილებს.

## კპროსტრატე

ვამჩნევ სხვის თვალში ბეწვს.

## უსინათლო

ვმკურნალობ ქუსლის წყლულებს.

## აქილევსი

სატელევიზიო დებატებში ვიწვევ ძველ და ახალ პარლამენტარებს.

## ქოსატყუილა

კცვლი უკვდავებას ადგილზე მუხათგვერდის პანთეონში.

## კერაკლე

მოკლულის სხეულზე რამდენიმე სხვადასხვა ზომის ჭრილობა დააფიქსირა ექსპერტმა: 5 – თეთრიანის, 10 – თეთრიანის და ორიც 50 – თეთრიანის, სულ 1 ლარისა და 15 თეთრის რაოდენობისა.

ეროვნული გიგლიოთეკა

„ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს!“ – ბრძანა მთავრობის მეთაურმა და პრესაში გამოაქვეყნა წინა ხელისუფლების დანაშაულთა სრული ნუსხა.

## სიტბა ლარს

ხინჯს რომ ვერაფრით უპოვი  
ჩვენი ლარი და თეთრია.  
ტომრით რუბლი და კუპონი  
სადამდე უნდა გვეთრია?  
ლარში დავითის გულია  
და სინარნარე თამარის,  
ჩვენია, ეროვნულია.  
მართლაც რომ ხანდო რამ არის.  
შეიგრძნეს ლარის ღირსება,  
მისი სიმკვიდრეც ინატრეს,  
გული სიამით ევსებათ  
ზედ ამოტვიფრულ წინაპრებს.

იოსებ ბალახაშვილი

– შენ ის ნოქარი არა ხარ, დახლში რომ ვერ იტყობდი?  
– შენ ის მუშტარი არა ხარ, მაღაზიის კარებში რომ ვერ ეტევილი?



თემა ჟ. სიხარულიძის ნახ. ჯ. ლოლუასი

# ჩვენს მიხედვით

ერთი თხილის გულის ოდენა ბრილიანტი ცხრა  
ძმამ გაიყო და უკმაყოფილო არც ერთი არ დარჩენილა.

ეროვნული

სადაც ლილიპუტები კერავენ ტანსაცმელს, აქივობები  
ათები შიშვლები დადიან.

როცა ცხვარ-ძროხა არ დაგიდის,  
სამუსიც კაი საქონელია..

გაიარე, კარგი პქენი,  
გამოივლი — იქ დაგხვდება.

მწარე ფიქრებს საკვების უქონლობა კვებავს.

ლექები სისხლით იყო ნაწერი, მაგრამ მკითხველის  
სისხლი სხვა ჯგუფისა გახლდათ.

ხელფასს ვღებულობ, მაშასადამე, ვმუშაობ.

ბრიყვიც შეიძლება მრჩეველად დანიშნოს ბრიყვმა.



თემა ნ. იოსებიძისა, ნახ. ჯ. ლოლუასი



— აპა ფული და ერთი თევზი დამაჭერინე ანკესით.

ნახ. და თემა მ. აბაშიძისა

# თბილისის გოკემა

## ფოკუსი

ერთხელ ნიაზი რესტორანში შევიდა დღის თორმეტ საათზე. რესტორანში ხალხი არ იყო და ოფიციანტები უსაქმურობისაგან ამთქნარებდნენ. ნიაზი რომ მაგიდასთან დაჯდა, ყველამ მის გარშემო მოიყარა თავი, რაღაცას იტყვის და გაგვამხიარულებსო.

— გინდათ ფოკუსი გაჩვენოთ? — უთხრა ნიაზიმ ოფიციანტებს.

- როგორ არ გვინდა! — სახე გაუბრწყინდა ყველას.
- თქვენ გაჭერთ, მე გაგვამთელებ!
- რა გაგჭრათ?
- რაც გაგიხარდებოთ, თუ გინდათ აი, ეს მაგიდის გა-

დასაფარებელი. ახლა გაზეთიც მომიტანეთ, ოღონდ „ზარია ვოსტოკა“.

- „კომუნისტი“ რომ იყოს? — ჰკითხა ერთმა.
- არა, ფოკუსისთვის „ზარია ვოსტოკა“ საჭირო. საიდანღაც „ზარია ვოსტოკაც“ მოიტანეს.
- ახლა ეს გადასაფარებელი ოთხად გაჭერთ! ოფიციანტმა საიდანღაც მაკრატელი გამომავრინა და გადასაფარებელი ოთხად გაჭრა. ნიაზიმ დაკეცა, „ზარია ვოსტოკაში“ გაახვია, მაგიდაზე დადო, ხელი დაფარა და ჩაფიქრდა. ოფიციანტები თვალედაჭყეტილი მისჩერებინან.
- ვაა.. წარმოგიდგენიათ, დიდი ხანია არ გამიკეთებია და დამავიწყდა როგორ უნდა გავამთელო.

# გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან



## აპერობა

## სასტუმროში

ცნობილი გერმანელი პოეტი და იუმორისტი მორიც გოტლიბ საფირი ერთ ლიტერატორს შეეკამათა, რომელმაც გესლიანად მიუგო:

— თქვენ, ბატონო საფირ, ფულისათვის წერთ, მე კი მხოლოდ ღირსებისათვის.

— ყოველი ჩვენგანი წერს იმისათვის, რაც მას აკლია, — უთხრა ღიმილით საფირმა.

## ზარყოფა

გერმანელ მხატვარ მორიც შვინდს, რომელიც განსაკუთრებით არის ცნობილი ზღაპრებისა და თქმულებების მიხედვით შექმნილი საინტერესო სურათების სერიით, სეირნობის დროს ერთი უმნიშვნელო, მაგრამ ღიდად პატივმოყვარე მხატვარი შემოხვდა.

— გამარჯობათ, ბატონო კოლეგა! — მიესალმა იგი.

— კოლეგაო?! — მიუგო შვინდმა, — განათქვენც უჩივით კუჭის ძმარვას?

## თავპირა

ემანუელ კანტი ხელმოჭირნეობითაც იყო ცნობილი. ერთხელ მან ნაცნობი დაპატია ჭიქა ღვინოზე. როდესაც ემანუელმა ცოტა ხნით მაგიდა დატოვა, სტუმარმა მიმტანს მოწონებით უთხრა:

— რა არაჩვეულებრივად კარგი ღვინოა!

— ეს რა არის, თქვენ ის ღვინო უნდა ნახოთ, მარტო მოსული ბატონი პროფესორი თავისთვის რომ უკვეთავს ხოლმე. — ღიმილით მიუგო მან.

## მხატვრის პნეაანი

ცნობილ გერმანელ მხატვარს მაქს ლიბერმანს ერთ დღეს მდიდარი კაცი ეწვია. სახლის დათვალიერების შემდეგ სტუმარმა მასპინძელს ჰკითხა:

— ოთახში რატომ არ გიკიდიათ თქვენი სურათი?

— იმდენი ფული არა მაქვს, რომ კედელზე „ლიბერმანი“ დავკიდო, — მიუგო მხატვარმა.

მარკ ტვენმა სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი გადაათვალიერა და ბოლო სტრიქონი ამოკითხა: „ბარონ ფონ ბლანკი მსახურით. ამის ქვემოთ თვითონ ჩაწერა: „მარკ ტვენი ჩემოდნით“.

## ქათინაურების გაცვლა

ალბერტ აინშტაინს ძალზე უყვარდა ჩარლი ჩაპლინის ფილმები.

ერთხელ მისი მორიგი ფილმის ნახვის შემდეგ აინშტაინმა ჩაპლინს მისწერა:

— თქვენი ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება“ ყველასათვის გასაგებია მსოფლიოში, აუცილებლად დიდი ადამიანი გახდებით.

ჩარლი ჩაპლინმა დაუფრთხილებივ უპასუხა:

— მე უფრო მეტად თქვენით ვარ აღტაცებული. თქვენი ფარდობითობის თეორია მსოფლიოში არავის არ ესმის, მაგრამ მაინც გამოჩენილი ადამიანი ხართ.

## პირუთვნალობა

ერთ დღეს ნაპოლეონი ავად გახდა და, რადგან მისი პირადი მკურნალიც ავად იყო, სრულიად უცნობი ექიმი მოუყვანეს, რომელსაც იმპერატორი უნდობლად შეხვდა და ირონიულად ჰკითხა:

— რამდენი სასაფლაო გაქვთ ავსებული, ექიმო?

— ყოველ შემთხვევაში ჯერ იმდენი არა, რამდენიც თქვენს აღმატებულებას, — მიუგო დინჯად ექიმმა.

## მოსწრავალი ახსუსი

გერმანიის ქალაქ მიუნხენის სახალხო კომიკოსს კარლ ვალენტიანს ნაცნობმა ჰკითხა:

— კაცმა რომ თქვას, იუმორი როგორ იწერება?

— აჰ, ეს ძალიან ადვილია, — მიუგო ვალენტიანმა, — აიღებთ ქაღალდს და თუ რაიმე მოგივთ აზრად, წერთ ქაღალდზე, რადგან დაწერა ადვილია. მხოლოდ აი, აზრად მოსვლა ძალიან ძნელი.

შეკრიბა და თარგმნა  
შოთა ამირანაშვილმა

ჟურნალი „ნიანგი“,  
№ 1-2 (1891-1892) მარტი,  
1996 წ. გამოდის  
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, გენერალური  
დირექტორი  
გეჟან სინარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი  
ლერი ჩანტლაძე

სარედაქციო კოლეგია:  
ზაურ ბოლქვაძე (მთავარი რედაქტორი), მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, რომან შიშინოვილი, რევაზ მიშველაძე, ალექსანდრე სამსონია, მისხილ ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფიფაძე, ალექსი ტინჯარაული.

ტექნიკური რედაქტორი  
ვახტანგ ღონსაძე

გადამცემი ახსუსობა და  
8. 01. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 03. 96 წ., ფორმატი 60×90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. შეკვ. № 8. ტირაჟი 1000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606.

რედაქციის მისამართი  
380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42.

ტელეფონები: განყოფილებათა გაბეჭდების — 93 10 78, 93 49 32; მდივან-მედიანქანის — 99 76 69.

ინდექსი 76137

ფასი 60 თეთრი  
(ორი ნაყინი)



- თუ საქართველოს გამომთულებ, გაგიშვებ!

თემა გ. ხუჯაძისა

ნახ. ჯ. ლოლუასი